

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“
ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქ. თბილისის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღებულ იქნეს 135-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც შესაბამისი ნებართვის გარეშე ან სანებართვო პირობების დარღვევით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმეორებით განხორციელებისას ითვალისწინებს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსების მოძრაობა ხორციელდება ქაოტურად, რაც ხდება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საცობების წარმოქმნის მიზეზი. აღნიშნულის გამო ზარალდება დედაქალაქის მოსახლეობა, რაც მის უკმაყოფილებას იწვევს. ქ. თბილისის მერიაში შემოვიდა არაერთი წერილი, ხოლო დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა არაერთი ზარი, რომლებშიც დაფიქსირებულია მოსახლეობის მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსების მოძრაობის დარეგულირების და მათი მოძრაობის უცვლელი მარშრუტის დადგენის აუცილებლობის თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია კოდექსს დაემატოს ახალი 135¹ მუხლი.

კოდექსში 135¹ მუხლის დამატების გამო აუცილებელია 209³ მუხლი, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილი და 242-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. ამავე კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით კი კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოები მოკლებული არიან შესაძლებლობას ადმინისტრაციულ ორგანოში შესული საჩივარი და პროტესტი განიხილონ მათი შესვლიდან 10 დღის ვადაში, როგორც ეს მითითებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის პირველ ნაწილში. აღნიშნულის გამო მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს 276-ე მუხლის პირველ ნაწილში და ადმინისტრაციულ ორგანოში შესული საჩივარი და პროტესტი განიხილულ იქნას მათი შესვლიდან 30 დღის ვადაში. ანალოგიურად, მიზანშეწონილია 278-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სამდღიანი ვადა შეიცვალოს შვიდდღიანი ვადით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სრულყოფა, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსების მოძრაობის მარშრუტის დარეგულირება, მოქმედ სამართლებრივ აქტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით განისაზღვრება ჯარიმა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ქ. თბილისის ტერიტორიაზე შემომავალი M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტის დარღვევისათვის – 100 (ასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ქ. თბილისის ტერიტორიაზე შემომავალი M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტის დარღვევასთან დაკავშირებით საქმეებს განიხილავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურები ან მათ მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურები ან მათ მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

ამ შენთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური.

კანონპროექტი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივარსა და პროტესტს განიხილავს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) მათი შესვლიდან 30 დღის ვადაში, გარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა. ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივართან ან პროტესტთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლი 7 დღის ვადაში გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება, პროტესტის

გამო მიღებული დადგენილების ასლი 7 დღის ვადაში გაეგზავნება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით. პროტესტის განხილვის შედეგი ეცნობება პროკურორს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედების შედეგად დამატებითი შემოსავლები ექნებათ ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება ამ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერია.

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.